

## **ბანკები და ფინანსები - „ტყეები კვლავ იყიდება, სატყეო სექტორის მართვის გეგმა და პოლიტიკა არ არსებობს“**

სოციალური და ეკონომიკური განვითარების, ხის მასალის გადამამუშავებელი მრეწველობის შექმნის, დასაქმების ხელშეწყობისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით მთავრობა აუქციონზე სახელმწიფო ტყის ფონდის 4%-ის 20 წლიანი მართვის უფლებით გაყიდვას გეგმავს.

აუქციონზე ტყით სარგებლობისთვის ლიცენზიების გაცემა აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, რის გამოც საპარლამენტო ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები აღნიშნულ პროცესში ექსპერტების ჩართვას მოითხოვენ.

ტყეების გრძელვადიანი იჯარით გაცემასთან დაკავშირებით ახსნა-განმარტებები ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ეკა შარაშიძემ და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა ირაკლი ღვალაძემ გარემოს დაცვისა და დარგობრივი ეკონომიკის გაერთიანებული კომიტეტების სხდომაზე გააკეთეს.

პარლამენტის თავმჯდომარის დავით ბაქრაძის განცხადებით, ის საკითხის პოლიტიკური სპეკულირების თემად ქცევას არ აპირებს და ამ პროცესის თავიდან აცილების მიზნით, ანტიკორიპსიულ საბჭოსთან ერთად გარემოს დაცვისა და დარგობრივი ეკონომიკის საპარლამენტო კომიტეტებს, შესაბამისი მინისტრებისაგან ინფორმაციის მოსმენა დაავალა.

ამჟამად არსებული დადგენილი ნორმის მიხედვით ლიცენზიის მფლობელი და არა სახელმწიფო, ვალდებულია ლიცენზიის მიღებიდან არაუგვიანეს 9 თვის ვადაში დეტალური ინვენტარიზაცია ჩაატაროს. ოპოზიცია მოითხოვს, რომ ინვენტარიზაციამდე ლიცენზიების გაცემის შეჩერება მოხდეს.

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით ასოციაცია „მწვანე ალტერნატივის“ ბიომრავალფეროვნების პროგრამის კოორდინატორს **ირაკლი მაჭარაშვილს** გავესაუბრეთ.

**- ჩვენს ქვეყანაში სატყეო სექტორის მართვის არანაირი გეგმა და პოლიტიკა არ არსებობს. ყველაფერი სპონტანურად, იმის მიხედვით ხდება, თუ როგორ იცვლებიან თანამდებობებზე ადამიანები და შესაბამისად, გადაწყვეტილებები.**

რამდენიმე წლის წინ, საქართველოს მთავრობამ განაცხადა, რომ რეფორმებს გეგმავდნენ, გადაიდგა კიდევ გარკვეული ნაბიჯები, მაგრამ საქმის კეთება უკუღმა დაიწყო. ჯერ, სრულიად მოუშზადებლად, ინსტიტუციური რეფორმა ჩატარდა და გრძელვადიანი ლიცენზიების გაცემა დაიწყო. შედეგად - არსებული სატყეო მეურნეობების სისტემა საერთოდ მოიშალა და ფაქტიურად, მართვის ფუნქცია დაკარგა. ადგილობრივი სამსახურები თავს ვერ ართმევენ მოვალეობებს, რაც ნათლად გამოჩნდა აგვისტოში გაჩენილი ხანძრის შედეგად. გასაგებია, რომ ეს სამხედრო ინტერვენციის შედეგი იყო, მაგრამ ამან გამოაჩინა, თუ რამდენად მოუშზადებელია საქართველოს სატყეო მეურნეობის სისტემა, ხანძართან ბრძოლისათვის და მრავალ სხვა საკითხთან დაკავშირებით, რაც აუცილებელია სატყეო მეურნეობის მართვისათვის. ვერ კონტროლდება მართლწესრიგი - უკანონო ჭრასთან ბრძოლა და ა. შ.

**- მოდით განვმარტოთ, თუ რაში მდგომარეობს პრობლემა.**

- არც ერთი საღად მოაზროვნე ადამიანი, მათ შორის, ჩვენი ორგანიზაციაც, არ არის წინააღმდეგი, ტყით გრძელვადიანი სარგებლობისა, მაგრამ ამას თავისი წინაპირობები სჭირდება.

დღეისათვის სულ რამდენიმე გრძელვადიანი ლიცენზიაა გაცემული და ყველა მათგანში, იმ საკითხებში რაც შეეხება აუქციონის გამოცხადების წესებს, ჩატარებას თუ სხვა პირობებს - კანონმდებლობა უხეშადაა დარღვეული.

## - რა ტიპის დარღვევებზეა საუბარი?

- ნორმალურ ქვეყნებში ჯერ ეროვნული სატყეო პოლიტიკა მუშავდება, რომელიც იქმნება ეროვნულ კონსენსუსზე დაყრდნობით, საზოგადოების ფართო მონაწილეობით, რის შედეგადაც უნდა გაფორმდეს რაიმე ნორმატიული აქტი, ალბათ, პარლამენტის დადგენილების სახით. შემდეგ, ამ პოლიტიკაზე დაყრდნობით იქმნება ეროვნული სატყეო სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა, კანონმდებლობა; თანხმდებიან - ექსპერტები, უბრალოდ დაინტერესებული პირები, ამ სფეროში მომუშავე ადამიანები და ა. შ. რის შედეგადაც ხდება ინსტიტუციური რეფორმა და ტარდება გარკვეული ღონისძიებები.

კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს მოქალაქეებს, დაინტერესებულ საზოგადოებას უფლება აქვს გადაწყვეტილების მიღებამდე პროექტი, რომელიც წინასწარ უნდა გამოქვეყნდეს, საზოგადოებრივი განხილვის საგნად იქცეს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მონაწილეობას უშუალოდ ის ადამიანები იღებდნენ, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ამ ხის რესურსებზე. ეს კანონმდებლობაშია ჩადებული, ტყის კოდექსში და ორფუსის კონვენციაში, ეს არის გაეროს კონვენცია, რომელიც ეხება საზოგადოების მონაწილეობას გარემოს დაცვითი საკითხების გადაწყვეტის დროს.

საქართველოში აუქციონის გამოცხადება გაუმჭვირვალედ ხდება. ერთი თვით ადრე აუქციონის გამოცხადება, რომელშიც მხოლოდ ერთი ორგანიზაცია იღებს მონაწილეობას, კორუფციულ გარიგებებზე ბადებს ეჭვს. მაგალითად, წინასწარ ხომ არ ხდება შეხვედრა, კონსულტაცია, მოლაპარაკება აუქციონში მონაწილეებსა და სამინისტროების თანამშრომლებს შორის და შემდეგ ხომ არ აცხადებენ იმ პირობების მიხედვით, რომელიც ამ პოტენციურ ინვესტორებთან უკვე შეთანხმებულია. ინვენტარიზაციის, ანუ ტყეთმოწყობის მასალები ვადაგასული, მოძველებულია. აუქციონებში დაფიქსირებული ხე-ტყის მოპოვების მასალები არ შეესაბამება იმას, რაც ფაქტობრივად არსებობს.

საქართველოს კანონმდებლობით, ინვენტარიზაცია 10 წელიწადში ერთხელ უნდა ტარდებოდეს. კანონმდებლობის ეს ნაწილი ყოველთვის დარღვეულია, ანუ შესაძლებელია, რომ მოსაჭრელ მარაგში იმაზე მეტი ჩაიწეროს, ვიდრე ბუნებაში არსებობს. თანაც 20 წლის განმავლობაში მოსაჭრელი მარაგი იწერება. შეუძლებელია, ვთქვათ, 90-იან წლებში ჩატარებული ტყეთმოწყობით განსაზღვრო 2027 წელს რამდენი მერქანი უნდა მოიჭრას, ეს აბსურდია.

გარდა ამისა, ინვესტორებს არასწორ მონაცემებს აწვდიან, რის გამოც ძალიან ცოტა კომპანია თუ გამოხატავს აუქციონში მონაწილეობის ინტერესს. ვაჭრობაში უმეტესად 2 კომპანია მონაწილეობს, ერთეულ შემთხვევაში - რამდენიმე, ან მსურველი ერთია და აუქციონიც მასვე რჩება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია გარემოს დაცვის საკითხები, ლიცენზიანტს სთხოვენ, 10 თვის განმავლობაში შეისწავლოს იქ არსებული მარაგები, დადოს ტყით სარგებლობის, მენეჯმენტის გეგმა და სახელმწიფო შემდეგ ამტკიცებს. ანუ დაინტერესებულ მხარეს, ინვესტორს უფლებას აძლევენ შეაფასოს ის მარაგი, რომელიც თვითონ უნდა მოჭრას და სარგებელი მიიღოს. ეს თავიდანვე მცდარი და არასწორი პრაქტიკაა.

რაც შეეხება შეხვედრას, რომელსაც ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვერც ერთ სწორად დასმულ კითხვაზე ვერ გაიცა დამაკმაყოფილებელი პასუხი. იმ პრეზენტაციაში, რომელიც ეკონომიკის სამინისტრომ კანონმდებლების წინაშე წარადგინა, ძალიან ბევრი უზუსტობა და არასწორი მონაცემია. მაგალითად, ლაპარაკია, რომ ადგილობრივი ტყის ფონდი 800 ათასი ჰექტარია, ანუ არსებული ფონდის 27%. უნდა ითქვას, რომ არსებობდა განზრახვა, რომ დაახლოებით ამ ფართობის ტყე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს გადასცემოდა, რომლითაც იქაური მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილება მოხდებოდა, მაგრამ ბოლო 2 წლის განმავლობაში ამისთვის არაფერი გაკეთებულა. პრეზენტაციაზე ისე წარადგინეს, თითქოს ეს საკითხი უკვე გადაწყვეტილია.

არავის დაუთვლია ეს 800 ათასი ჰექტარი საკმარისია იმ მოსახლეობისთვის თუ არა. ჯერ უნდა შეფასდეს და მერე გადაეცეთ იმ ფართობის ტყე, რამდენიც სჭირდებათ. ახლა ამ 800 ათას ჰექტარში ყოფილი საკოლმეურნეო ტყეები შედის, რომელშიც ხე ბევრგან არცაა, ბუჩქნარიდაა დარჩენილი. ანუ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ტყეები, რომლებსაც ახლა სატყეო დეპარტამენტი მართავს, ყველაზე დეგრადირებულია. აღნიშნულ დარღვევებზე ჩვენ რამდენჯერმე საჩივრით მივმართეთ სასამართლოს და მთავრობის კანცელარიას.

#### **- რა პირობებს უყენებენ ლიცენზიანტებს?**

- ერთ-ერთია, მაგალითად, ტყის დაცვა ბრაკონიერებისგან. ეს მხოლოდ ფორმლობაა. ლიცენზიის მფლობელს უფლება არ აქვს დაცვა განახორციელოს, მას არც ვინმეს დაჭერა შეუძლია, არც ოქმის შედგენა, არც ცულის და ხერხის ჩამორთმევა და ა. შ. ლიცენზიის აღებიდან 9 თვის განმავლობაში ინვენტარიზაცია უნდა ჩატარებინათ, ეს არ გაკეთებულა, 10 თვის განმავლობაში ტყით სარგებლობის გეგმა უნდა წარმოედგინათ, არც ეს გაკეთებულა. 2007 წლის პირველ მაისს ჩატარებული აუქციონის შედეგად გაცემული ლიცენზიების პირობების პასუხის მოთხოვნის ნაცვლად, ეს ქართულ-ჩინური კომპანია - "ჯორჯიან ვუდენ ინდასტრიალ დეველოპმენტი" კიდევ 5 ლიცენზიის მფლობელი გახდა წელს. მაგალითად, იმერეთის რეგიონში გამარჯვებული ლიცენზიანტი ვალდებულია 3 წლის ვადაში ააშენოს ხე-ტყის გადამამუშავებელი საწარმო, სადაც 500 კაცს დაასაქმებს. ჩვენს საჩივარში მითითებული იყო, რომ ეს ძალიან უცნაური პირობაა და კანონმდებლობა ასეთ რამეს არ სცნობს.

ეჭვი გვაქვს, რომ პირობები რომელიმე კონკრეტულ პრეტენდენტზეა მისადაგებული. ჩვენი ეჭვი კი რამდენადმე გამართლდა, როცა ჩინურმა კომპანიამ ლიცენზია მიიღო, რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, როგორც ვიცით, ეკონომიკის მინისტრის ყოფილი მოადგილეა.

მივმართეთ პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტს, გამოეკვლიათ აუქციონების გამოცხადების და ლიცენზიების გაცემის კანონიერების საკითხი, არსებობდა თუ არა ინტერესთა თანხვედრა და კორუფციული გარიგებები. არ ვიცი, რა შედეგს გამოიღებს, მაგრამ სამინისტროები გააფრთხილეს, რომ მომავალში აღარ ჩატარდეს აუქციონები იმ ფართობებზე, სადაც არ არის ჩატარებული ინვენტარიზაცია.